

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი თსუ-ის ლოგოთი და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.
4. ცენტრი უფლებამოსილია განსაზღვროს ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროგრამა და პრიორიტეტები.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები

1. ცენტრის მიზნებია:

- ა) განახორციელოს საკუთარი გეგმის შესაბამისად, რელიგიური ცხოვრების ინტერდისციპლინარული შესწავლა და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში რელიგიის ფენომენოლოგიის, რელიგიურობის ფსიქოლოგიისა და რელიგიის სოციოლოგიის მიმართულებით, სამეცნიერო გრანტებში, სამეცნიერო კონფერენციებში.
- გ) შეიმუშავოს კვლევათა მიმართულებები, მოიზიდოს გრანტები, რითაც დამატებით დაასაქმებს უნივერსიტეტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებს.
- დ) ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები სხვა სამეცნიერო ცენტრებთან. კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს ცენტრის მუშაობას.
2. ცენტრის დირექტორს 5 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის ყოველდღიურ საქმიანობას კოორდინაციას უწევს დირექტორის თანაშემწე და სხვა თანამშრომლები, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და რომლებსაც დირექტორის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს დირექტორის თანაშემწე.
5. ცენტრის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დოქტორანტი ან მაგისტრანტი, აგრეთვე ცენტრის საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ამ შესაბამისი დარგის აღიარებული სპეციალისტი.
6. ცენტრის წევრთა შემადგენლობას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
7. ცენტრის სტრუქტურით განსაზღვრულ ანაზღაურებად თანამდებობას წარმოადგენს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობები.
8. ცენტრის პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 4. დირექტორის უფლება-მოვალეობები

1. ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.
2. ცენტრის დირექტორი:
 - ა) ადგენს ცენტრის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს შესათანხმებლად.
 - ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.
 - გ) წელიწადში ერთხელ წარუდგენს ცენტრის მუშაობის ანგარიშს უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 5. ცენტრის ქონება და დაფინანსება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.
2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
 - ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.
 - ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი.
 - გ) შემოწირულობები.
 - დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
3. ცენტრის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ცენტრს.
4. ცენტრის დირექტორისა და დირექტორის თანაშემწის თანამდებობები შესაძლოა დაფინანსდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, დირექტორის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ერთჯერადად, არაუმეტეს სამი თვის განმავლობაში.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.